ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3452920

ნომერი: AR1528190

თარიღი : 28.07.2017

გაცემის თარიღი : 04.08.2017

გაცნობის თარიღი : 04.08.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მინდელის ქუჩა N3 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით უგულავა პ/ნ 01010008231
- თბილისი შ.ნუცუბიძის ფერდ IV მ/რ კორ. 15 ბ. 23

ორგანიზაცია:

- შპს ამპერი კოდი: 404935497

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:

იმისთვის რომ სამსახურმა იმსჯელოს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საჭიროა წარმოდგენილ იქნას შორი ხედიდან გადაღებული არსებული სიტუაციის ფოტოსურათები და აღიშნულის საფუძველზე დამუშავებული ფოტომონტაჟი, სრულყოფილი გაბარიტული ზომების ფერის და მასალის მითითებით.
ასევე საჭიროა წარმოდგენილ იქნას საკადატსრო გეგმა საპროექტო არეალის მონიშვნით.
განახლებული ფოტომონტაჟის წარმოდგენის დროს საჭიროა გაითვალისწინოთ:
"რეკლამის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად "რეკლამა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ვრცელდება სახელმწიფო ენაზე. ეს მოთხოვნა არ ეხება იმ გადაცემებსა და გამოცემებს, რომლებიც ვრცელდება სხვა ენაზე, აგრეთვე არ ეხება წარწერას საქონლის გამოსახულებაზე, გარდა სასაქონლო ნიშნისა, ხოლო საქართველოში განთავსებული, სხვა ენაზე რეგისტრირებული სასაქონლო (მომსახურების) ნიშნის (ლოგოტიპის) მფლობელს ევალება მისი ტრანსლიტერაციის წესით გადმოცემა ქართულ ენაზე". გამომდინარე აქედან, საჩრდილობელზე და აბრებზე წარწერა შესრულებული უნდა იყოს სახელმწიფო ენაზე, ხოლო უცხო ენაზე შესრულებული წარწერა ზემოთ (ყველა შემთხვევაში) და რაოდენობით არ უნდა აღემატებოდეს სახელმწიფო ენაზე შესრულებულ (ტრანსლიტერირებულ) ფორმას.
საჭიროა წარმოდგენილ იქნას იჯარის ხელშეკრულება და საჭიროების შემთხვევაში მესაკუთრის უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული შესაბამისი თანხმობა, ასევე შესაძლებელია მესაკუთრის თანაგანმცხადებლად დარეგისტრირება.
ასევე წარმოდგენილი მინდობილობა არ არის ხელმოწერილი. საჭიროა წარმოდგეინოთ ხელმოწერილი მინდობილობა.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა განცხადებაში მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუდადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნულიგანცხადება დარჩება განუხილველი. გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.